ხელშეკრულება № 3/266

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი „20“ დეკემბერი 2010წ.

სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად”, წარმოდგენილი სააგენტოს გენერალური დირექტორი **ნიკოლოზ ვაჩეიშვილის** სახით და **სსიპ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი** შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად”, მისი დირექტორის **ბუბა კუდავას** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი” – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი” – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „საქონელი” – წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“-თვის, ციფრულ ფორმატში 12 ცალი ხელნაწერის ფოტო-ასლის დამზადება-მოწოდება დანართი №1-ის შესაბამისად

2.2. დანართი ერთი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ერთი ცალი ხელნაწერი ფოტო-ასლის ღირებულებაა 25 ლარი;

3.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს

300 (სამასი) ლარს

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

3.3. ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს **მიმწოდებლის** ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, დაკავშირებულს საქონლის მიწოდებასთან და **შემსყიდველის** საკუთრებაში გადაცემასთან (მ.შ. ტრანსპორტირება და სხვ.).

3.4. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების

პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. **მიმწოდებელი** ვალდებულია:

ა) შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად მიაწოდოს ხელშეკრულების 2.1. პუნქტში მითითებული ხარისხიანი საქონელი 2010 წლის 24 დეკემბრის ჩათვლით. ჩათვლით.

ბ) განიხილოს **შემსყიდველის** პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნიდან **2 დღეში**;

4.2. **შემსყიდველი** ვალდებულია:

ა) წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება.

5. ხარისხი

52. მომწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს ხარისხიანი საქონელი და შემსყიდველის (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) მიერ წუნის გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის წერილობითი შეტყობინებით დადგენილ ვადებში მოახდინოს წუნის გამოსწორება.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.2. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.3. ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"-ს საგანმანათლებლო და საინფორმაციო უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი კოორდინატორი გიორგი ქირია..

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას.

ბ) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა შემსყიდველის წერილობითი შეტყობინებინებიდან **2 დღეში**.

7 მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მიწოდებული საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის, საგანმანათლებლო და საინფორმაციო უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი კოორდინატორის გიორგი ქირიას ხელის მოწერით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საქონლის მიწოდების დამადასტურებელი დოკუმენტაციის საფუძველზე.

7.2 **საქონელი** მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

8 ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2 ანგარიშსწორების საფუძველს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მიღება-ჩაბარების აქტი.

8.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 2010 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, თუკი ანგარიშწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10 ხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუქტის გათვალისწინებული ვადების გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიუწოდებელი ან/და წუნდებული საქონლის ღირებულების **0.1%-**ის ოდენობით. საქონელი, ან მისი ნაწილი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემთხვევაში.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 8.3. პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის **0,1%**-ის ოდენობით.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი თანხის ანაზღაურება.

10.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12 დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13 ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში. აღნიშნულის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს წერილობით 10 (ათი) დღით ადრე.

13.2 ერთერთი მხარის მიერ წერილობითი შეტყობინებისა შესაბამისად ორივე მხარის შეთანხმების საფუძველზე.

14 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2010 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

15 ფორს-მაჟორი

ა. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

ბ. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

გ. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16 სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი–შემსყიდველს.

17 მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“	სსიპ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
მისამართი: ქ. თბილისი, თაბუკაშვილის №5 **საბანკო რეკვიზიტები:** ანგ. №901915400, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, **სკ-204562311**	**მისამართი:** ქ.თბილისი, მ.ალექსიძის ქ.№1/3 **საბანკო რეკვიზიტები:** ანგ.№147434500 ს/ს "საქართველოს ბანკი" ბ/კოდი: 220101502 ს/კ- №211368474
გენერალური დირექტორი	**დირექტორი**
ნიკოლოზ გაჩეჩილაძე	ბუბა კუდავა

დანართი № 1

1. ფსალმუნები და ბასილი კესარიელის „ფსალმუნთა თარგმანება“ (A-135-I), fol. 215r°, 1035.
2. გრიგოლ ღვთისმეტყველის ცხოვრება და ქადაგებანი (P-3), 1040.
3. სახარება (A-484), fol. 312v°, 1054.
4. ჰაგიოგრაფია (S-384), fol. 360v°, XI-XIIსს.
5. ჰაგიოგრაფია (J-156), fols.99v°, 100r°, 1042.
6. წმ. მართას და ბარლაამის „ცხოვრებანი“ (I-84), fols. 124v°, 125r°,1042-1044.
7. პარაკლიტონი (I-45), fol. 8v°, 1050.
8. თთუენი (J-75), fol. 123r°, 1066.
9. „ფსალმუნთა თარგმანება“ (Q-37-II), fol. 324r°, 1066.
10. დიდი სვინაქსარი (H-2211), fol. 211r°, 1042-1065.
11. დიდი სვინაქსარი (H-2211), fol. 296v°, 1042-1065.
12. სახარება (A-845), fol. 306r°, XI ს-ის მეორე ნახევარი.

NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS
211388474